საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2010 წელი 29 ოქტომბერი № 141

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009წ. 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" გათვალისწინებული საჩივრების განხილვის წესის შესახებ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2009 წლის 5 ოქტომბრის №64 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულების მე-5 პუნქტის 5.3.2. ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009წ. 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" გათვალისწინებული საჩივრების განხილვის წესის შესახებ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2009 წლის 5 ოქტომბრის №64 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ:

   ა) დებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   "1. საჩივარი მიღებულად ითვლება, თუ ის შეტანილი იქნა მაუწყებლის კანცელარიაში უშუალოდ დაინტერესებული პირის/მისი წარმომადგენლის მიერ ან დაინტერესებული პირის/მისი წარმომადგენლის მიერ გამოგზავნილია ფოსტის მეშვეობით. მაუწყებელში წარმოდგენილი განცხადება მაუწყებლის მხრიდან წინამდებარე დებულების 1-ლი მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული ნორმების და ქცევის კოდექსის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით ასევე განიხილება როგორც საჩივარი და მისი განხილვა უნდა განხორციელდეს წინამდებარე დებულების II თავით დადგენილი წესის შესაბამისად."

   ბ) დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებული იქნეს.

   გ) დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული, მაუწყებელი უფლებამოსილია განუხილველად დატოვოს საჩივარი."

დ) დებულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. სააპელაციო საჩივრის განხილვის შემთხვევაში გამოიყენება ამ დებულების მე-2 და მე-4 მუხლებით დადგენილი წესები."

ე) დებულების მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებული იქნეს.

2. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის ზემოთ აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მხრიდან შესაბამისი თანხმობის მიღებისთანავე.

გენერალური დირექტორი გიორგი ჭანტურია